ლაშა ნადარეიშვილი

ღმერთმა ჭირი გვაშოროს და შოთას ფრესკა არვინ შალოს... ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!

წიგნიდან „ეშაფოტზე წარმოსათქმელი ლექსები“

ქვეყანაში არსებული მწვავე დაპირისპირებების ფონზე იმერეთის მხარის ლეგენდარული გუბერნატორი, პარტია „თეთრების“ ლიდერი, „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და, უბრალოდ“ სიმართლის უშიშრად მთქმელი კაცი — თეიმურაზ შაშიაშვილი აცხადებს, რომ ქართული ინტელიგენციისა და მედიის ნაწილი ფინანსური გავლენების მსხვერპლი გახდა, რაც საზოგადოებრივ ღირებულებებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

თეიმურ შაშიაშვილი:

თუ ხელისუფლება ამ სექტემბრის განმავლობაში არ გააკეთებს განცხადებას, რომ ტყუილია, რასაც ლაზარე ჯორბენაძე გარეჯთან დაკავშირებით ამბობდა, მაშინ მე პირდაპირ ვიტყვი, რომ იგი მოკლულია!

— უპირველესად, ლაზარე ჯორბენაძის ირგვლივ ატეხილ სკანდალზე მინდა გკითხოთ — მისმა მეუღლემ ხათუნა სირაძემ პროკურატურას მისცა ჩვენება, რომ იგი შეურაცხადი იყო და ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად თვითმკვლელობაზე საუბრობდა. თქვენ მას ასეთ კაცად იცნობდით?

— რას ამბობთ?! ლაზარე საკმაოდ ცნობილი და კომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ. მუშაობდა სახელისუფლებო წრეებში და დაკავშირებული იყო სპეცსამსახურებთანაც, შესაბამისად, ბევრი რამ იცოდა. მსგავსი განცხადებების შემდეგ, ნებისმიერ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ შეურაცხადია. ეს პოლიტიკური ბრძოლის აპრობირებული მეთოდია — მეორე მხარეს დააბრალო ის, რაც რეალობას არ შეესაბამება და ამით ვიღაცას თავი მოაწონო! ფაქტია, რომ

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში რეალურად საქართველო დაიკარგა. რასაც ხელისუფლება ნაცმოძრაობაზე ლაპარაკობს, სიმართლეა, მაგრამ, რასაც ოპოზიცია ხელისუფლებაზე ამბობს, ისიც მართალია!

„ქართულ ოცნებაში“ ხარ თუ ნაციონალურ მოძრაობაში, უნდა იცოდე, რომ დღეს რომელიმე მხარის მხარდაჭერა არის ანტიქართული საქმე! მაგალითად, ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ **ლაშა ნადარეიშვილი** გავიდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციიდან. **იქ შაღრესად ბევრი ღირსეული ადამიანია და უბრალოდ მიკვირს, რაზორ რჩებიან?** რა გვინდა ჩვენ ვინმეს მსახურ ჟურნალისტიკასთან? ჟურნალისტიკა მხოლოდ ხალხს უნდა ემსახურებოდეს!

— რას იტყვით იმ 1200 კონვერტზე, რომელსაც ხელისუფლება ე.წ. ჟურნალისტებს ურიგებს? გაასაჯაროონ ამ 1200 კაცის სია, რატომ არ ასაჯაროებენ?

— ხელისუფლება 1200 კაცის სიას არ გაასაჯაროებს, რადგან ეს რეალურად აგენტურაა, რომელსაც ყველა ბინძური საქმის კეთება ევალება! **„ასაგალ-დასაგალს“ დღეს სწორედ ეს ხალხი ეგრძვის...** ამ ხალხს ყოველთვიურად პაკეტით ეგზავნებოდა და ახლაც ეგზავნება ფული.

მე, მაგალითად, დღეს ინტელიგენციის აღგილზე, ბიძინა ივანიშვილის ფულზე უარს ვიტყოდი. დიახ, ბამოვიდოდი და ვიტყოდი: ხალხში ველარ გავდივართ და ველარ ველაპარაკებითმეთქი! არ მინდა გვარების დასახელება, მაგრამ ცნობილი ადამიანები ისეთ რამეებს მეუბნებოდნენ ამ ფულზე, უბრალოდ, მე მრცხვენია მათ ნაცვლად!

სულ ვფიქრობ, მივიდე ამ ხალხთან და ვუთხრა: გამოდით, დაუჩოქეთ ხალხს, უთხარით, რომ ამ ფულზე უარს იტყვით და ხალხის მხარეს დადგებით! განა შეიძლება, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამაზე მეცნიერება და ინტელიგენცია ჩუმად იყოს?! მე ვიცი ძალიან ბევრი სერიოზული მეცნიერი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს — **ღარიბაშვილი როგორ გაუშვაო?!** ჩემთვის ეს ადამიანები საყვარელი ხალხია, მაგრამ არ ვიცი, რა დაემართა ქართულ ინტელიგენციას... დღეს ისინი გაჩუმებული არიან და ხმას ვერ იღებენ! დიახ, ცნობილი ადამიანები, რომლებიც **ირაკლი ღარიბაშვილს** აქებდნენ და ადიდებდნენ, დღეს ხმის ამოღებას ვერ ბედავენ!

— სოციალურ ქსელებში ჩემი და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ ხელოვნური, შეურაცხმყოფელი სიბინძურეების გავრცელება ვისი ხელით ხდება? შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ დგას ამის უკან?

— **ბიძინა ივანიშვილი** ამას არ აკეთებს, მაგრამ აკეთებს ის ხალხი, რომელიც მას ერთგულებას უმტკიცებს. ბიძინა ივანიშვილის უბედურებაც ის არის, რომ ასეთი ხალხი მოსწონს. დღეს ეს დაპირისპირება სრულიად ანტიქართულია. თქვენისთანა ჟურნალისტი დღეს საქართველოსთვის ჰაერივითაა საჭირო. მაგრამ ჟურნალისტიკა, რომელმაც ეს პროფესია ფულის საკეთებელ მანქანად აქცია, მიუღებელია. **დღეს მხოლოდ რამდენიმე პიროვნება დარჩა, რომელიც ფულზე არ ბაიყიდა. ჟურნალისტები ცხოვრობენ ისე, როგორც მილიონერები და ბიზნესმენები — სწორედ იმ კონვერტებიდან!**

— პროკურატურამ დაიწყო გამოძიება ლაზარე ჯორბენაძის გარდაცვალების საქმეზე. 21 სექტემბერს მეც ვარ დაბარებული დაკითხვაზე. საინტერესოა, იმ ცხონებულმა ლაზარე ჯორბენაძემ რაც თქვა კობახიძის მისამართით — დავით გარეჯი გაყიდაო! — ამაზე რატომ არ იწყებენ გამოძიებას?

— **ეს თუ მართალია, ხელისუფლების მხრიდან ჩადენილია სახელმწიფო ღალატი! ხოლო, თუ არ არის მართალი და ამის მიუხედავად, ამ საკითხზე ხელისუფლება კომენტარს არ აკეთებს, რათა ხალხმა ერთმანეთი გადაჭამოს, ესეც სახელმწიფო დანაშაულია!**

თუ გარეჯი გაყიდეს, თქვენ; თუ არადა, ამდენი ხანია, რაბომ დუმან?

ხომ შეიძლებოდა, აქამდე ეთქვათ: **„ბატონებო, დამშვიდდით, ეს ტყუილია!“** ერთი წინადადება იყო საჭირო!!!

— ლაზარე ჯორბენაძის გარდაცვალებაზე რას ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, **ლაზარე ჯორბენაძე** ასე სწრაფად არ უნდა დაესაფლავებინათ! ექსპერტიზის გარეშე მისი დასაფლავება დანაშაული იყო! **ხელისუფლებამ ამით საკუთარი თავი გაინადგურა!** ვიცი, რომ ლაზარეს ბევრი ჟურნალისტი სთხოვდა ინტერვიუს და ვეღარ მოდიოდა, რადგან ფეხები სტკიოდა და საწოლიდან ვერ დგებოდა... ეს მე პირადად მომისმენია. მოკლედ გეტყვით: თუ ხელისუფლება ამ სექტემბრის განმავლობაში არ გააკეთებს განცხადებას, რომ ტყუილია, რასაც **ლაზარე ჯორბენაძე** გარეჯთან დაკავშირებით ამბობდა, მაშინ მე პირდაპირ ვიტყვი, რომ იგი მოკლულია!

საერთოდ, დღეს ქვეყანაში არის წყალგამყოფი. ან უნდა დავრწმუნდეთ და დავეთანხმოთ, რომ ხელისუფლება ყველაფერს ყიდის თავის გადასარჩენად, ან უნდა მოვითხოვოთ მართვის სისტემის რადიკალური შეცვლა ისე, რომ ქვეყანაში კონკურენტული გარემო დამკვიდრდეს. **დღეს დიქტატურა დგას პოლიტიზებულ, რეპრესიულ ძალოვან სტრუქტურებზე, მოსყიდულ ინტელიგენციაზე, კომპრომეტირებულ ადამიანებსა და მშიერი, დაუძლურებული ხალხის მოსყიდვაზე. სახელმწიფო ბიუჯეტი ხელისუფლების ჯიბის ფულად იქცა.**

— მამუკა მდინარაძე წავიდა თუ გაგდეს?

– თუ მდინარაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება, ჩვენ მას პოლიტიკაში ვიხილავთ!

არ გამოვრიცხავ, რომ დაგეგმილია გარკვეული პერიოდის შემდგომ მისი უკან დაბრუნება. **ირაკლი ღარიბაშვილის ჰქონდა ხისტი, კაცური ხასიათი, მაგრამ მდინარაძე არის ბიძინა ივანიშვილის ყურმოჭრილი მონა! ამიტომ ვერ გეტყვით, რომ ის წავიდა პოლიტიკიდან...**

დღეს ბიძინა ივანიშვილს კარგი განწყობა აქვს კობახიძის მიმართ. უბრალოდ, ის სიტუაცია, რომელიც ქვეყანაშია, მას ამას კარნახობს, სინამდვილეში კი ჩვენ ხალხი გავხადეთ იმ პოლიტიკის მსხვერპლი, რომელსაც 1992 წლიდან ეწირება ქვეყანა.

როდესაც ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით იქმნება პარლამენტი, ხელისუფლებები და ბიზნესმენებიც ინიშნებიან, **ეს არის მონათმფლობელური, მდიდარი მონების ხელისუფლება!**

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე

კვირგვინოსნები

ვიქტორ ყიფიანი
ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ადვოკატი

კანონის სახელით დღეს **ვითომ მართლმსაჯულებას ახორციელებს ის სისტემა, რომელსაც არათუ კანონთან, სამართალთანაც არაფერი საერთო არა აქვს!**

„TV პირველი“

სალომე ზურabიშვილი
საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი

„ქართული ოცნება“ **ეს არის „აურზაური სალხინეთში“, შიდა უნდობლობის ბოლო ფურცელი, რეჟიმი პარანოიული გახდა.**

„ინტერპრესნიუსი“

ბაია პაპავა
ფოლოგებადამკვლელი

გამიკვირდა, პროკურატურამ რომ ასე მალე განაახლა გამოძიება **ლაზარე ჯორბენაძის საქმეზე**. აქამდე ღარიბაშვილის წერილებზე „მაიცა, კაცო, გიჟია ეგა“ პოზიცია ფიქსირდებოდა. თუმცა, **მდინარაძის მოხსნის შემდეგ** სიტუაცია აიჭრა, რადგან ყველა ხვდება, რომ უმიზეზოდ მას არ მოხსნიდნენ.

კობახიძე-მდინარაძე თუ დგას ამ სერიული „თვითმკვლელობების“ უკან, ეს უსერიოზულესი ამბავია! და ყველამ უნდა თქვას ის, რაც იცის ამ და სხვა სიკვდილების შესახებ.

ღარიბაშვილის წერილიდან აშკარად იგრძნობა, რომ ლაზარეს ამბავი არ იყო ერთადერთი და სხვა დადგმულ თვითმკვლელობებზეც ალაპარაკდება.

„ახალი თაობა“

სალომე სამადაშვილი
„ლელო საქართველოს“ წევრი

ვფიქრობ, **კობახიძემ** იმიტომ გადაწყვიტა, წელს გაეროს ტრიბუნით ისარგებლოს, რომ, **სავარაუდოდ, მანაც იცის, ეს არის მისი უკანასკნელი შანსი ცხოვრებაში, ამ ტრიბუნაზე გამოვიდეს.**

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ბელაშვილი
ანალიტიკოსი

მდინარაძის, როგორც **კობახიძის** კადრის, ასე მარტივად მოშორება და მასზე ჯოხის გადატეხა პირდაპირ **კობახიძეს ურტყამს.** საყოველთაო აზრით, **შემდეგი სწორედ კობახიძეა.**

„კვირის პალიტრა“